



**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**  
**ფაკულტეტი განათლებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტი**  
**თურქული ფილოლოგიის სპეციალობა**

**ანალიტიკური ჰიერარქიული პროცესის (AHS) მეშვეობით**  
**თურქულის, როგორც უცხო ენის სწავლებისას ლინგვისტური**  
**უნარჩვევების განვითარების მხრივ ლიტერატურული**  
**ტექსტების გამოყენების მნიშვნელობის განსაზღვრა**

**მეჰმეთ სელიმ აიჰან**  
**სადოქტორო დისერტაცია თურქული ფილოლოგიის სპეციალობა**

**თბილისი, 2015**

სამეცნიერო  
ხელმძღვანელი:

მუსტაფა არსლანი

---

(სახელი, გვარი)

ჯანიქ ბაშარის უნივერსიტეტის ასოცირებული

პროფესორი

---

(აკადემიური წოდება)

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები (სახელი, გვარი და აკადემიური წოდება):

1. პროფესორი ილიას უსთუნერი

2. ასოცირებული პროფესორი ელისაბედ ბჟალავა

ოპონენტები(სახელი, გვარი და აკადემიური წოდება):

1. პროფესორი მარინა ჯიქია

2. ასოცირებული პროფესორი ჯემალ სარაჩი

## 1. შესავალი

ადამიანი, როგორც სოციალური არსება, საჭიროებს სოციალურ გარემოში ცხოვრებისა და საკუთარი არსებობის უზრუნველყოფის მიზნით კომუნიკაციის დამყარებას. ამის უზრუნველყოფა შესაძლებელია ენისა და სოციალიზაციის პროცესის მეშვეობით. ერთი საზოგადოების წევრები კი სხვა საზოგადოების წევრებთან კომუნიკაციის დასამყარებლად იყენებენ საკუთარ, ან მათ ენას. იმის მიუხედავად, რომ ენა წარმოადგენს კომუნიკაციის საშუალებას ინდივიდებსა და საზოგადოებებს შორის, იგი საკუთარ სოციალურ ფუნქციას ახორციელებს ლიტერატურის/მხატვრული ტექსტების მეშვეობით. ენა-კომუნიკაციასა და სოციალიზაცია-ლიტერატურას შორის ურთიერთკავშირი განუყოფელია.

ენა წარმოადგენს ამა თუ იმ საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ნიშან-ბგერათა ერთობლიობას. სოსიურისა (Saussure) და აგრეთვე მრავალი სხვა ლინგვისტის მოსაზრებით, ენა წარმოადგენს ცალკეული ინდივიდის მიერ გამოყენებულ და, ზოგადად, საზოგადოების მიერ გათავისებულ საკომუნიკაციო სისტემას. ამასთანავე, ენა წარმოადგენს აღმნიშვნელებისა და აღნიშნულების შეერთებით მიღებულ წყობას, ისევე, როგორც ამ აღმნიშვნელების მიერ შექმნილი კომპონენტების ფუნქციონირების ერთგვარი სისტემას. მარტინეტის (Martinet) ცნობილი განსაზღვრების მიხედვით: “ენა წარმოადგენს საზოგადოებიდან საზოგადოებაში ადამიანური გამოცდილებების საკომუნიკაციო საშუალებას, გამოხატულს მნიშვნელობების მქონე ბგერით ერთეულებში; აღნიშნული ბგერითი საკომუნიკაციო ერთეულები განსხვავდება ენიდან ენაში ფონემების სახით არტიკულაციის მხრივ“ (Vardar, 2002:71). სოსიური და მარტინეტი ენის ამგვარი განმარტებებით ხაზს უსვამენ მის საკომუნიკაციო თვისებას და ამასთანავე იმასაც, რომ მას გააჩნია საზოგადოების ერთ მთლიანობად შეკვრის უნარი. ენის სოციალური მხარე კავშირშია ამა თუ იმ საზოგადოების კულტურასთან. მხატვრული ზეპირსიტყვიერება/ლიტერატურა კი კულტურის მნიშვნელოვანი

მატარებელი კომპონენტია. შესაბამისად, უცხო ენის შესწავლაც ეფექტური იქნება ენის ამ კომპონენტის დასწავლის პროცესში ჩართვით.

ენის რაობის განმარტებისას თურქი მეცნიერი კაპლანი (Kaplan, 2001) რამდენადმე განსხვავებულ მიდგომას ემხრობა. მისი აზრით, ენა ადამიანის ცხოვრების ყველაზე ცოცხალი ნაწილია, სიტყვასა და რეალობას შორის გადის მეტად ვიწრო ხაზი და ეს ხაზი შედგება მცირე ბგერითი კავშირებისგან. კაპლანიც აღნიშნავს ენის, როგორც ბგერისა და მაკავშირებლის ფუნქციის ერთობლიობას, სადაც ეს უკანასკნელი პირდაპირ კავშირშია მხატვრულ სიტყვიერებასთან.

აკსანი (Aksan, 2009) ენას ორგანიზაციულ კონტექსტში შემდეგნაირად განსაზღვრავს: “ენა წარმოადგენს იმაზე გაცილებით უფრო კომპლექსურ არსს, რაც ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ; ისეთ რამეს, რაც შეიძლება განსხვავებული პერსპექტივებიდან განისაზღვროს და რაღაც, რისი საიდუმლოც დღესდღეობითაც კი ვერ ამოიხსნება ბოლომდე. ენა არის მთავარი ელემენტი, რისი წარმოდგენაც შეუძლებელია ცალკეული ინდივიდისა და მთლიანად საზოგადოებისგან იზოლირებულად ისეთ კომპონენტებთან მიმართებაში, როგორცაა მეცნიერება, ხელოვნება თუ ტექნიკური სფეროები, ის არის საზოგადოების შემკრავი მთავარი საშუალება“. ენის ცხოველმყოფელობა მისი მთავარი მახასიათებელი კომპონენტია. ამ გაგებით, იგი მომავალში თავისი საუკეთესო ფორმით გადააქვს მხატვრულ ლიტერატურას. უცხო ენის მაღალ დონეზე შესწავლა კი შესაძლებელია სწორედ მხატვრული ლიტერატურის სწავლების პროცესში გამოყენებით.

ენა, რომელიც თავისთავად არ არის მატერიალური ერთობა, მას შეუძლია შექმნას ამა თუ იმ ერის სულიერი ფუნდამენტი, რაც გამოიხატება ისეთ არამატერიალურ კომპონენტებში, როგორცაა: მნიშვნელობა, მიზანი, გრძნობა და ასპირაციები. ენა შეიძლება განისაზღვროს როგორც საუკუნეთა განმავლობაში თაობების კოლექტიურ მემსიერებაში გამჯდარი მნიშვნელობათა ერთობა (Başgil, 2010).

რუსოს (Rousseau, 2009) აზრით, პრესტორიულ ხანაში პირველი თქმულებები, პირველი კანონები იწერებოდა ლექსის სახით; აზრი გადმოიცემოდა უფრო ლექსის სახით, ვიდრე პროზით. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, თუ რამდენად ფართო იყო ლექსის გავლენის სფერო. მისი აზრით: “თავდაპირველად არ იყო არც მელოდიისგან განსხვავებული მუსიკა და არც სიტყვის ცვალებადი ბგერის გარდა სხვა ჟღერადობა; მახვილები ქმნიდნენ სიმღერას, რაოდენობები ქმნიდნენ საზომს და ადამიანებიც ბუნებრივი ბგერებისა და რიტმების, აგრეთვე დანაწევრებული ბგერებითა და არტიკულაციის მეშვეობით საუბრობდნენ“. ამ აზრის ავტორის მიხედვით, პირველადი არტიკულირებული მეტყველება და სიმღერის წარმოთქმა ერთი და იგივე რამ იყო.

არც ერთი ენა თავდაპირველი სახით არ შემორჩენილა და ისინი სხვადასხვა ფაზებს გადიოდნენ. ლევენდი (Levend, 1973) მიიჩნევს, რომ ენა წარმოადგენს ისეთ ცოცხალ არსს, რომელიც ემსახურება საზოგადოებას, იცვლება დროისა და საზოგადოების მოთხოვნილებების მიხედვით, მასში ასახვას ჰპოვებს ამა თუ იმ ეპოქის ცხოვრების სტილი, მსოფლმხედველობა თუ ესთეტიკური შეხედულებები. თავის მხრივ, ყოველივე ეს კი აისახება სიტყვებში, გამოთქმებში, წინადადებათა წყობაში და ამასთანავე, ენის ეს კომპონენტები შეიძლება სულაც არ შეესაბამებოდეს კონკრეტული ენის გრამატიკულ წესებს.

სოსიურის (Saussure, 1998) მიხედვით, მოვლენათა განსაზღვრების მიზნით სიტყვებზე დაყრდნობა არც თუ სწორი მეთოდია; სოსიური ენის თავისებურებებს შემდეგნაირად განმარტავს: “ენა საკუთარ არსებობას მხოლოდ ამა თუ იმ საზოგადოების წევრთა შორის მიღწეულ ერთგვარ შეთანხმებას უნდა უმაღლოდეს. ამასთანავე, ენის ფუნქციონირების გასაგებად აუცილებელია ამავე ენის დასწავლა. ის ინდივიდიც კი, რომელიც კარგავს გამართული მეტყველების უნარს, ინარჩუნებს ენის ფარგლებში კომუნიკაციის უნარს ბგერითი ნიშნების აღქმის მეშვეობით. ენა სრულიად განსხვავებული ფენომენია. ჩვენ არ ვსაუბრობთ მკვდარ ენებზე, მაგრამ თავისუფლად

შეგვიძლია შევისწავლოთ მათი ენობრივი სტრუქტურა. იგი წარმოადგენს ნიშნების/აღმნიშვნელების სისტემას. ამ სისტემაში მთავარია მნიშვნელობასა და ბგერად აღქმულ ნიშანს/აღმნიშვნელს შორის არსებული კავშირი და აღმნიშვნელის ეს ორი მხარე თანაბრად მენტალურია“.

ჩომსკის (Chomsky,2011) მოსაზრებით, ამა თუ იმ ენის ცოდნა არ ნიშნავს მხოლოდ იმ ენის წესების ცოდნას, ის ენის ცოდნას შემდეგნაირად განმარტავს: “ნათქვამის გაგება, პირველყოვლისა ნიშნავს ენობრივი ნიშნის იმ მნიშვნელობით აღქმას, რომლითაც იგი თავიდანვე იყო გამიზნული. ჩვენ მიმართ ნათქვამ რამეს მხოლოდ და მხოლოდ წარმოთქმულის ბგერითი და მნიშვნელობითი თავისებურებების განმსაზღვრელ პრინციპებზე დაყრდნობით სრულად ვერ გავიგებთ. მოსაუბრე ინდივიდიცა და ენობრივის გარეთ არსებული შეხედულებებიც დისკურსის წარმოებაში, განსხვავებების დადგენასა და კომუნიკაციური ფუნქციის განსაზღვრაში უმთავრეს როლს თამაშობს“. ენის დაუფლება აგრეთვე გულისხმობს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა ზეენობრივ-კონგიტიური პრინციპები. ზეენობრივ/კოგნიტიური პრინციპების დაუფლების საუკეთესო გზა კი სწორედ მხატვრული ტექსტების მეშვეობით სწავლაა.

უცხო ენის სწავლების პროცესში, ენობრივი უნარ-ჩვევების როლის კონტექსტში, აქთაშ და გიუნდუზის (Aktaş ve Gündüz, 2004) მოსაზრებით, ინდივიდთა შორის კომუნიკაციის დამყარების უმთავრეს ელემენტს, რა თქმა უნდა, ენა წარმოადგენს. ენა მოითხოვს ისეთ სპეციფიურ უნარ-ჩვევებს, როგორცაა “მეტყველება-მოსმენა“ და მოსმენილის “აღქმა-გაგება“, ისევე, როგორც, წერილობითი კომუნიკაცია მოითხოვს “წერა-წაკითხვას“ და წაკითხულის “აღქმა-გაგების“ უნარს. აღნიშნული უნარჩვევები ისეთივე აუცილებელი წინაპირობაა რომელიმე უცხო ენის შესწავლისას, როგორც საკუთარისა. ამ კონტექსტში აღნიშნული უნარ-ჩვევების ათვისებისას მხატვრული ტექსტების მნიშვნელობა მეტად დიდია.

## საკითხის იდენტიფიცირება

გლობალიზაციის პროცესში, როდესაც ბუნებრივად ხდება ენებსა და კულტურებს შორის კომუნიკაციის დამყარება, ენათა სწავლის მნიშვნელობა და საჭიროება კიდევ უფრო ნათლად წარმოჩინდება. თურქული ენის სწავლების საქმეში წვლილის შეტანის მიზნით, სახელმწიფო დაწესებულებებისა (სახელმწიფო უნივერსიტეტები და საჯარო დაწესებულებები) და კერძო უნივერსიტეტების ფარგლებში გაიხსნა ენის კურსები და სპეციალიზირებული სკოლები, მომზადდა შესაბამისი სასწავლო მასალა.

თურქულის, როგორც უცხო ენის, სწავლებისას აუცილებელია ზოგადად უცხო ენის სწავლების მეთოდისა და ტექნიკის გამოყენება. ამ მხრივ უნდა მომზადდეს თურქული ენის თავისებურებების, სტრუქტურისა და შესაბამისი თურქული კულტურის ელემენტების შემცველი სასწავლო მასალა.

მოსამზადებელ მასალაში გათვალისწინებული უნდა იყოს თურქული ენის მხატვრული სიმდიდრე, განისაზღვროს, თუ რა, როგორ და რისთვის უნდა იქნეს გამოყენებული და ეს ყველაფერი შესაბამისი ექსპერტების პრეროგატივაა. ამ მხრივ, აუცილებელია იმის დადგენა, თუ რომელი თურქული მხატვრული ტექსტების გამოყენება იქნება შესაძლებელი ამა თუ იმ სპეციფიკური ენობრივი უნარ-ჩვევის განსავითარებლად.

## კვლევის მიზანი

თურქულის ეფექტურად დაუფლების მიზნით მხატვრული ტექსტების როლისა და მნიშვნელობის დადგენა წარმოადგენს მოცემული ნაშრომის მთავარ მიზანს. ასევე, თურქულის, როგორც უცხო ენის სწავლებისას აუცილებელია ანალიტიკური მეთოდის მეშვეობით იმ მხატვრული ტექსტების სათითაოდ და ცალ-ცალკე გამოვლენა, რომლებიც ხელს შეუწყობს თურქულის შემსწავლელთ კითხვასა და გაგებულის აღქმაში, ასევე, სამეტყველო და წერითი უნარ-ჩვევების გამომუშავებაში. ამის პარალელურად, ჩვენი მიზანია შევარჩიოთ ის მხატვრული ტექსტები, რომლებიც უფრო

ეფექტური იქნებიან თურქულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროცესში. სხვა მიზნები შეიძლება შემდეგი სახით დალაგდეს:

- თურქული ენის უცხოელთათვის სწავლების პროცესში გამოსაყენებელი ტექსტების შერჩევა რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერიუმების მიხედვით ენობრივი უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების პარალელურად;
- მხატვრული ტექსტების შერჩევა და გამოყენება უცხო ენის სწავლების ზოგადი მეთოდების, ტექნიკებისა და ევროპის ენობრივი განვითარების კონცეფციის შესაბამისად.
- თურქულის სწავლების პროცესში გამოსაყენებელი მხატვრული ტექსტების რა სახით, რა მიზნითა და რა სიხშირით მიწოდების დასაბუთება;
- თურქული ენის ინსტრუქტორებისთვის დახმარების გაწევა, თურქულის სწავლების პროცესში კულტურული ელემენტების ჩართვა და ენის მასწავლებელთა და მსწავლელთა მოთხოვნილებების შესაბამისად სასწავლო მასალის მომზადება.

### **კვლევის აქტუალობა**

თურქულის, როგორც უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებით დაიწერა მრავალი მეცნიერული სტატია, დისერტაცია, წიგნი თუ კვლევა. აღნიშნულ ნაშრომებში მოცემულია თურქულის შესწავლის პროცესი ისტორიულ ჭრილში, ასევე- საკლასო და კლასგარეშე აქტივობები, პრობლემატური საკითხები, თუმცა, სასწავლო მასალა, როგორც წესი, არაა დაყოფილი მნიშვნელობათა მიხედვით. მოცემულ ნაშრომში შევეცადეთ დაგვედგინა სასწავლო მასალაში გამოსაყენებელი მხატვრული ტექსტები მნიშვნელობისა და ეფექტურობის პრინციპების მიხედვით ანალიტიკურ-იერარქიული მეთოდის მეშვეობით. ნაშრომში ნაჩვენებია მეთოდის, რომელიც არ გამოყენებულა თურქულის, როგორც უცხო ენის, სწავლების საკითხთან დაკავშირებით აქამდე დაწერილ შესაბამის ნაშრომებში.



აუცილებელია განისაზღვროს თურქულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში მხატვრული ტექსტების გამოყენების საჭიროება, შეთავაზებულ იქნას რეკომენდაციები შესაბამისი სასწავლო მასალების მომზადებისას.

### **კვლევის ჰიპოთეზა**

თურქული ენის ინსტრუქტორებისთვის დახმარების გაწევა თურქული ენის მდიდარი მხატვრული ტექსტების მასალების სასწავლო პროცესში ჩართვის რეკომენდაციით, აგრეთვე რომელი მხატვრული ტექსტის სწავლების რომელ დონეზე გამოყენების საკითხში მათთვის რჩევების მიცემა. მოსამზადებელ ენის სახელმძღვანელოებში გამოსაყენებელი ტექსტების საჭიროების განსაზღვრა და არსებულ სახელმძღვანელოებში გამოყენებული მხატვრული ტექსტების შესაბამისი ფუნქციონალური დატვირთვის მიგნებაში დახმარების გაწევა; რეკომენდაციების მიცემა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მხატვრული ჟანრები გამოიყენება უფრო ინტენსიურად არსებულ სახელმძღვანელოებში და რომელი მხატვრული ტექსტების გამოყენება იქნება უფრო ეფექტური კონკრეტული ენობრივი უნარ-ჩვევის გამომუშავების მხრივ.

მოცემულ ნაშრომში უპირველეს ყოვლისა დადგენილია თურქული ენის, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში გამოსაყენებელი მხატვრული ტექსტები თურქული ენის შემსწავლელთა ცოდნის დონეების შესაბამისად. ენის დამსწავლელნი, როგორც წესი, არიან ზრდასრული ასაკის, ხოლო ენის ცოდნის დონეები გადანაწილებულია შემდეგნაირი თანმიმდევრობით: A1, A2, B1, B2, C1, C2.

### **კვლევის შეზღუდვები**

მოცემული კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ თურქული ენის ინსტრუქტორები. კვლევაში მოყვანილი მოსაზრებები ეკუთვნის შესაბამის სფეროში მოღვაწე ენის ინსტრუქტორებს. იქედან გამომდინარე, რომ ბოლო დროს თურქულის სწავლა იძენს დიდი მნიშვნელობას, საჭირო გახდა უშუალოდ იმ პირთა მოსაზრებების გაზიარება, რომლების მოღვაწეობენ აღნიშნულ სფეროში. კვლევას აფერხებს აგრეთვე ის

ფაქტი, რომ რთულდება თურქული ენის ინსტრუქტორებისადმი წვდომა უცხოეთის იმ ქვეყნებში, სადაც ისინი ასწავლიან თურქულ ენას. ამასთანავე, იმის გამო, რომ ანალიტიკურ-იერარქიული მეთოდის გამოყენება გულისხმობს კითხვარების იმ კრიტერიუმებისა და ქვე-კრიტერიუმების მიხედვით მომზადებას, რაც ართულებს მათ ჰარმონიზაციას ერთმანეთთან და აგრეთვე ისიც, რომ კითხვარების სრულად შევსება მოითხოვს შედარებით დიდი დროს, შესაბამისად, რთულდება რესპონდენტთა წვდომაც.

## სიახლე

თურქული ენის როგორც უცხო ენად სწავლების პროცესის განვითარება ამჟამად მიმდინარეობს. ამ საკითხთან დაკავშირებით AHS-ს მიერ ჩატარებული კვლევები იჩენს თავს. სხვადასხვა გზებით ირკვევა, რომ ლიტერატურულ ტექსტებში ენის მახასიათებლების გამოყენება მნიშვნელოვანია. თურქული ენის უცხო ენად მსწავლელი სტუდენტები სწორედ შესაბამისი დონის ლიტერატურული ტექსტების დახმარებით განაგრძობენ სწავლას. სასწავლო წიგნებში რა ტიპის ლიტერატურული ტექსტი უნდა ჩაიდოს და როგორ უნდა უნდა მიეწოდოს სტუდენტს რომ ეფექტური იყოს მეთოდი ამას ცალკე კვლევა სჭირდება.

აუცილებელია, ლიტერატურული ტექსტები განისაზღვროს თურქულად მშობლიურ ენაზე მოსაუბრე პედაგოგების მიერ ვიდრე ის სტუდენტებამდე მივა.



## მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

კვლევის ფარგლებში მოკვლევულ იქნა ენის/უცხო ენის სწავლებასა და თურქულის, როგორც უცხო ენის სწავლებასთან და მხატვრულ ტექსტებთან დაკავშირებული წიგნები, სადისერტაციო ნაშრომები, სტატიები, მოხსენებები, ვებ-გვერდები და სხვა ამ სახის წყაროები. მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე შემუშავდა საჭირო მონაცემთა გამორჩევის მეთოდი. მონაცემთა შეგროვებასთან დაკავშირებით გათვალისწინებულ იქნა შესაბამის ექსპერტთა მოსაზრებანი და მომზადდა კითხვარი. მონაცემთა უშუალო მოპოვების მეთოდად კი ავირჩიეთ ფოსტისა და ინტერნეტის მეშვეობით კითხვარების დაგზავნა, ნაწილობრივ კი, უშუალოდ გავესაუბრეთ რიგ ინსტრუქტორებს პირისპირ, ხოლო ნაწილს -- სატელეფონო კავშირის მეშვეობით.

მონაცემთა დამუშავების მიზნით გამოყენებულ იქნა Microsoft Office Excel და SPSS პროგრამები. მოპოვებული მონაცემების დალაგებისა და ელექტრონულ ფორმატში გადაყვანის შემდეგ შეიქმნა საჭირო საფორმულირებო ფუნქციები, რის შედეგადაც განხორციელდა მონაცემთა და მიღებულ შედეგთა ანალიზი.

## ანალიტიკურ-იერარქიული მეთოდი

ანალიტიკურ-იერარქიული მეთოდი შემუშავდა 1971 წელს თომას ლ. საათის (Thomas L. Saaty) მიერ, რომელიც წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების მრავალ კრიტერიუმთან მეთოდს (Wind ve Saaty, 1980: 641- 658). თომას ლ. საათის მიერ შემუშავებული ანალიტიკურ-იერარქიული პროცესი (Analytic Hierarchy Process, AHP) არის მრავალი კრიტერიუმის შემცველი, კომპლექსური პრობლემების გადაჭრის მიზნით გამოყენებული, გადაწყვეტილების მიღების მეთოდი (Kuruüzüm ve Atsan, 2001:84).

აღნიშნულ მეთოდში შეფასების ობიექტური და სუბიექტური საზომების გამოყენება, შეფასების სიზუსტის შემოწმება, განსაკუთრებით კი შედეგთა მრავალი საზომის მიხედვით შეფასება საშუალებას აძლევს გადაწყვეტილების მიმღებს აირჩიოს მრავალი ვარიანტიდან ოპტიმალური გადაწყვეტილება (Eraslan ve Algün, 2005:98). ანალიტიკურ-იერარქიული პროცესი (AHS) კომპლექსურ სიტუაციებში აგრეთვე

მოიცავს ინტიუციური, ლოგიკური და ქაოტური გადაწყვეტილებების განხილვას, როგორც დამხმარე მექანიზმს. მოცემული მეთოდის ყველაზე თვალსაჩინო მახასიათებელი გადაწყვეტილების მიღების პროცესში სუბიექტური ფაქტორების ჩართვაა. ანალიტიკურ-იერარქიული მეთოდის ფარგლებში მნიშვნელოვანია როგორც მონაცემების, ასევე ინფორმაციისა და გამოცდილებების ყურადღებით განხილვაც(Hacıköylü, 2006:16).

### **ანალიტიკურ-იერარქიული პროცესის (AHS) გამოყენების საფეხურები**

ანალიტიკურ-ჰიერარქიული პროცესი (AHS) წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების მრავალცვლადიანი მეთოდებიდან ერთ-ერთს. მეთოდის ფარგლებში პრობლემის განსაზღვრის შემდეგ დგინდება პრობლემასთან დაკავშირებული კრიტერიუმები, ქვე-კრიტერიუმები და ალტერნატივები. ამგვარად, იქმნება ერთგვარი ჰიერარქია. იერარქიის დადგენის შემდეგ შედეგთა შედარების საფუძველზე იქმნება შედარების მატრიცა და დგინდება თითოეული კრიტერიუმის მნიშვნელობის ხარისხი. ბოლოს კი ხდება ყველა კრიტერიუმის ერთად შეფასება და ოპტიმალური რიგითობით მათი დალაგება.

პრობლემის ანალიტიკურ-იერარქიული პროცესის მეშვეობით გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გადასადგმელ ნაბიჯებს ქოჩაკი (Koçak, 2003:70) შემდეგი სახით აყალიბებს:

- |   |   |
|---|---|
| 1- პრობლემის განსაზღვრა;                          | მატრიცების შექმნა;                                    |
| 2- კრიტერიუმების განსაზღვრა;                      | 7- თანმიმდევრულობის ანალიზი;                          |
| 3- ალტერნატივების შერჩევა;                        | 8- კრიტერიუმებსა და                                   |
| 4- იერარქიული სტრუქტურის<br>შექმნა;               | პრობლემასთან დაკავშირებით<br>პრიორიტეტების დადგენა;   |
| 5- მნიშვნელობის შესაბამისი<br>საზომის განსაზღვრა; | 9- მთავარი პრიორიტეტის მქონე<br>ალტერნატივის დადგენა. |
| 6- კრიტერიუმების, შედარების                       |   |

## **იერარქიის დადგენა**

ანალიტიკურ-იერარქიული მეთოდის უმთავრეს საფეხურს წარმოადგენს იერარქიული სტრუქტურის ჩამოყალიბება. მოცემული საფეხური, თავის მხრივ, წარმოადგენს განსაზღვრული საკითხის იერარქიებად დაყოფის საფეხურს. აქ, პირველ საფეხურზე განსაზღვრული მიზნიდან გადავდივართ მეორე საფეხურის განსაზღვრულ კრიტერიუმებზე და ბოლო, მესამე საფეხურზე კი დადგენილი ალტერნატივების მიმართულებით იქმნება ერთგვარი იერარქიული სტრუქტურა. იერარქიულ სტრუქტურაში კრიტერიუმთა და ქვე-კრიტერიუმთა რაოდენობა და ალტერნატივები შეიძლება განსხვავდებოდეს პრობლემის მიხედვით.

კვლევაში მთავარ კრიტერიუმებად განისაზღვრა: კითხვა, მოსმენა/მასალის აღქმა, საუბარი და წერა; ქვე-კრიტერიუმები: პოეზია, რომანი, მოთხრობა, ზღაპარი, რემინისცენცია, დიალოგი, დღიური, ენის გასატეხი, ესე, რეპორტაჟი, თეატრი, ანდაზა-იდეომა, წერილი, ბიოგრაფია, ანეგდოტი. პირველ საფეხურზე მოხდა მთავარი კრიტერიუმების ერთმანეთთან შედარება, შემდეგ საფეხურზე კი --- თითოეული კრიტერიუმისა და ქვე-კრიტერიუმის ერთმანეთთან შედარება.

## **ორმხრივი შედარების მატრიცა**

იერარქიის შექმნის შემდეგ ერთ-ერთი უმთავრესი საფეხურია ორმხრივი შედარების მატრიცის დაგეგმარება. აღნიშნული საფეხური გულისხმობს ორი კრიტერიუმის შედარებას, რაც დამოკიდებულია გადაწყვეტილების მიმღებზე. ორმხრივი შედარების იერარქიის კომპონენტების მნიშვნელობის განსაზღვრის მიზნით, თითოეული მათგანის შედარება ხდება წინა საფეხურთან მიმართებაში.

ცხრილი 3.4.6.2 კრიტერიუმებისთვის ორმხრივი შედარების მატრიცის სქემა

	Kriter 1	Kriter 2	...	Kriter j
Kriter 1	$\frac{w_1}{w_1}$	$\frac{w_1}{w_2}$	...	$\frac{w_1}{w_j}$
Kriter 2	$\frac{w_2}{w_1}$	$\frac{w_2}{w_2}$	...	$\frac{w_2}{w_j}$
	$\vdots$	$\vdots$	$\vdots$	$\vdots$
Kriter i	$\frac{w_i}{w_1}$	$\frac{w_i}{w_2}$	...	$\frac{w_i}{w_j}$

წყარო: Thomas L. Saaty (1990)

არსლანი და ქისტი (Arslan ve Khisty, 2005) მიიჩნევენ, რომ აღნიშნული მეთოდით დადგინდება კრიტერიუმების შედარებითი მნიშვნელობები და გამოითვლება მატრიცის თანმიმდევრულობის ხარისხი; შედარების მატრიცის თანმიმდევრულობისთვის აუცილებელია, რომ უმთავრესი კომპონენტი ( $\lambda_{max}$ ) უდრიდეს მატრიცის ფორმატს ( $n$ ); კრიტერიუმების შედარებითი მნიშვნელობების გამოსათვლელად საჭიროა თითოეული ხაზის გეომეტრიული წყობით დალაგება “ $w_i$ ” კოლონის ფორმატში; შექმნილი კოლონის ვექტორის ნორმალიზება და შედარებითი მნიშვნელობების ვექტორის მეშვეობით “ $W_i$ ” კოლონის გამოთვლა; მატრიცის თითოეული ხაზი მრავლდება შედარებითი მნიშვნელობების ვექტორზე და მიიღება  $V_2$  კოლონა. შემდგომ ეტაპზე ამ ვექტორის თითოეული კომპონენტი გაიყოფა შედარებითი მნიშვნელობების ვექტორში საპირისპირო კომპონენტზე და მიიღება  $V_3$ ; ამ კოლონის ვექტორის საშუალო არითმეტიკული კი იძლევა მთავარ კომპონენტს ( $\lambda_{max}$ ).

### მნიშვნელობის ხარისხების განსაზღვრა

თითოეული კრიტერიუმის მიმართებაში ქვე-კრიტერიუმების შედარების მატრიცის დაგეგმარების შემდეგ აუცილებელია თითოეულ მატრიცაში მნიშვნელობის

ხარისხების გამოთვლა (Özden, 2008:306).

ორმხრივი შედარების მნიშვნელობის ხარისხებიდან შემდგარი  $A$  მატრიცის დაგეგმარების შემდეგ აუცილებელია  $A$  მატრიცის მნიშვნელობის  $(a_{ij})$  ნორმალიზება. ამ მიზნით არსებობს სხვადასხვა მეთოდიკა, თუმცა გამოყენებული ნორმალიზაციის მეთოდში თითოეული კოლონის კომპონენტი იყოფა იმავე კოლონის საერთო ჯამზე.  $b_j$   $j$  კოლონის ჯამური ღირებულება/მნიშვნელობის ჩვენების მიზნით კოლონათა ჯამური მნიშვნელობა შემდეგი ფორმულით ადვილად მიიღება:

$$b_j = \sum_{i=1}^n a_{ij} \quad (1)$$

შემდეგ საფეხურზე ორმხრივი შედარების მატრიცის კომპონენტები თავიანთი კოლონის ჯამური ღირებულების ფორმულით გამოითვლება:

$$c_{ij} = \frac{a_{ij}}{b_j} \quad (2)$$

ამგვარად, მიიღება  $c_{ij}$  კომპონენტებიდან შემდგარი და ორმხრივი შედარებების ნორმალიზებული ფაზის მაჩვენებელი  $C$  მატრიცა.  $C$  მატრიცა მიიღება შემდეგი ფორმით:

$$C = \begin{bmatrix} c_{11} & c_{12} & \cdots & c_{1n} \\ c_{21} & c_{22} & \cdots & c_{2n} \\ \vdots & \vdots & \cdots & \vdots \\ c_{n1} & c_{n2} & \cdots & c_{nn} \end{bmatrix}_{n \times n} \quad (3)$$

აღნიშნული მატრიცის მეშვეობით თითოეული ხაზის საშუალო არითმეტიკულის გამოყვანით დგინდება თითოეული კრიტერიუმი და/ან მნიშვნელობის ალტერნატიული ხარისხები. საშუალო არითმეტიკული მიიღება შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$w_i = \frac{\sum_{j=1}^n c_{ij}}{n} \quad (4)$$



## თანმიმდევრულობის ხარისხი

თანმიმდევრულობის ანალიზი წარმოადგენს ორმხრივი შედარების შედეგად მიღებულ პრიორიტეტებს შორის ლოგიკურ და მათემატიკურ მიმართებას (Koçak, 2003). აღნიშნული ანალიზის მეშვეობით იზომება ორმხრივი შედარებების თანმიმდევრულობის ხარისხი. აღნიშნული საზომი, რომელსაც ეწოდება თანმიმდევრულობის ხარისხი, გადაწყვეტილებების მიმღებთა მიერ ორმხრივი შედარებების პროცესში არასწორი შეფასებების თავიდან აცილების შესაძლებლობას იძლევა.

აღნიშნული ანალიზი არა მხოლოდ შესაძლო შეცდომათა შემცირებისთვის, არამედ, ამასთანავე, გადაწყვეტილებების მიმღებთა მხრიდან შედარებებისას ერთი ან მეტი ცდომილების დაშვებისა და შეფასებებში გადაცდომების თავიდან ასაცილებლად გამოიყენება.

იარალოღლუს (Yaralıoğlu, 2014) მიხედვით, ანალიტიკურ-იერარქიული მეთოდი ეფექტურია აღნიშნულ შედარებათა თანმიმდევრობის დადგენისთვის; ის საშუალებას იძლევა შემოწმდეს თანმიმდევრობის ხარისხი მიღებული თანმიმდევრობის (CR) ხარისხსა, არსებული პრიორიტეტების ვექტორსა და, შესაბამისად, ფაქტორებს შორის ჩატარებულ ერთი ერთზე შედარებათა თანმიმდევრობას შორის; AHS, CR-ს გამოთვლა ემყარება ფაქტორთა რაოდენობისა და მთავარ ღირებულაბად/პრიორიტეტად(λ) წოდებული კოეფიციენტის ერთმანეთთან შედარებას; (λ) კოეფიციენტის გამოსათვლელად აუცილებელია A შედარების მატრიცისა და W პრიორიტეტების ვექტორის ნამრავლიდან D ვექტორის სვეტის მიღება.

$$D = \begin{bmatrix} a_{11} & a_{12} & \dots & a_{1n} \\ a_{21} & a_{22} & \dots & a_{2n} \\ \cdot & & & \cdot \\ \cdot & & & \cdot \\ \cdot & & & \cdot \\ a_{n1} & a_{n2} & \dots & a_{nn} \end{bmatrix} \cdot x \begin{bmatrix} w_1 \\ w_2 \\ \cdot \\ \cdot \\ \cdot \\ w_n \end{bmatrix} \quad (5)$$

(2.16) ფორმულის შესაბამისად, არსებული D ვექტორის სვეტისა და W ვექტორის სვეტის საპირისპირო კომპონენტებიდან მიიღება თითოეული შეფასების ფაქტორთან დაკავშირებული მთავარი პრიორიტეტი (E). ამ პრიორიტეტთა საშუალო არითმეტიკული (ფორმულა (2.17)) იძლევა შედარებასთან დაკავშირებულ მთავარ პრიორიტეტს ( $\lambda$ ).

$$E_i = \frac{d_i}{w_i} \quad (i = 1, 2, \dots, n) \quad (2.16) \quad (6)$$

$$\lambda = \frac{\sum_{i=1}^n E_i}{n} \quad (2.17) \quad (7)$$

$\lambda$ -ს გამოთვლის შემდეგ თანმიმდევრობის ინდიკატორი (CI) შეიძლება გამოითვალოს (2.18) ფორმულის მეშვეობით.

$$CI = \frac{\lambda - n}{n - 1} \quad (2.18) \quad (8)$$

მოცემული თანმიმდევრობის ინდექსი საატის (Saaty) მიერ გამოთვლილ იქნა წინასწარ დადგენილი შემთხვევითობის ინდექსზე (Random Index) გაყოფით და, შესაბამისად, მიღებულ იქნა თანმიმდევრობის პროპორცია (Consistency Ratio).

$$\text{თანმიმდევრული ტირი} = \frac{\text{თანმიმდევრული ინდექსი}}{\text{სავარაუდო ინდექსი}} \quad (9)$$

$$CR = \frac{CI}{RI}$$

ცხრილი შემთხვევითი თანმიმდევრობის ინდექსი

### 3.4.8.1

რიგითობა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
R.I.	0.00	0.00	0.52	0.89	1.11	1.25	1.35	1.40	1.45	1.49	1.52	1.54	1.56	1.58	1.59
Firstorder differences		0.00	0.52	0.37	0.22	0.14	0.10	0.05	0.05	0.04	0.03	0.02	0.02	0.02	0.01

(T.L.Saaty, L.T.Tran, 2007)

თანმიმდევრობის ხარისხისთვის ზედა ზღვარს შეადგენს 0.10. აღნიშნული ზღვარი აჩვენებს იმას, რომ კომპონენტების შემთხვევითი შედარების ხარისხის შესაძლებლობა შეიძლება იყოს 10%. თუკი თანმიმდევრობის ხარისხი 0,10-ზე მეტია, გადაწყვეტილების მიმღებთ ურჩევენ გადახედონ შედარების პროცესს (Koçak, 2003). აღნიშნული პროცედურების შემდეგ მიიღება კრიტერიუმები და ალტერნატიული პრიორიტეტები. ოპტიმალური კომპონენტი შეირჩევა ყველაზე დიდი პრიორიტეტის მქონე ალტერნატივის მიხედვით.

### 3. კვლევის შედეგები

კვლევის ფარგლებში მონაცემთა შეგროვების მიზნით, მომზადებული კითხვარი დაურიგდა 71 მასწავლებელს. კვლევაში მონაწილე ზოგიერთ მასწავლებელს ჰქონდა თურქული ენის სწავლების გამოცდილება სხვადასხვა ქვეყანაში. რესპონდენტები მოღვაწეობენ შემდეგ ქვეყნებში: საქართველო, თურქეთი, რუსეთი, პაკისტანი, სამხრეთ აფრიკა, მოზამბიკი, კოლუმბია, რუმინეთი, კოსოვო, ეგვიპტე, ბოსნია-ჰერცეგოვინა, უკრაინა, ალბანეთი, ნიგერია, თურქმენეთი, შვედეთი, კაზახეთი, ერაყი, ავსტრალია, ამერიკის შეერთებული შტატები, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, კამერუნი, აზერბაიჯანი, მონღოლეთი და ავღანეთი - სულ 26 ქვეყანა. ის ფაქტი, რომ რესპონდენტი თურქული ენის ინსტრუქტორები მუშაობენ სხვადასხვა ქვეყანაში, ობიექტურობას მატებს მოცემულ კვლევას. მიზნობრივი ჯგუფის ფარგლებში შერჩეული რესპონდენტები არა მარტო რომელიმე კონკრეტულ დონეზე, არამედ ყველა დონეზე ასწავლიან მსურველ უცხოელებს. თურქული ენის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროცესში მხატვრული ტექსტების მნიშვნელობის დადგენის მხრივ აუცილებელია სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწე თურქული ენის მასწავლებლების პირადი გამოცდილებების გაზიარება.

კვლევაში მონაწილე თურქული ენის მასწავლებლებს შორის 52 %-ის ასაკობრივი ზღვარია 20-30 წელი, 35.2 %-ისა კი 31-40 წელი, 12.7 %-ის ასაკობრივი ზღვარია 41-50 წელი. ეს აჩვენებს იმას, რომ რესპონდენტები არ შერჩეულან მხოლოდ რომელიმე

კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფიდან. იმ რესპონდენტების კვლევაში ჩართვა, რომლებსაც გააჩნიათ განსხვავებული ცხოვრებისეული გამოცდილება და მიეკუთვნებიან განსხვავებულ ასაკობრივ ჯგუფებს, ზრდის კვლევის ობიექტურობასა და სანდოობას. ამ გაგებით, ახალგაზრდა რესპონდენტების ჩართულობა მნიშვნელობას იძენს მათი ინოვაციური მიდგომების დანერგვის კუთხით, გახსნილობის კონტექსტში.

რესპონდენტთა 83 %-ს შეადგენენ მამაკაცები, 16 % კი ქალბატონია. ორივე სქესის ინსტრუქტორთა ჩართულობა მნიშვნელოვანია განსხვავებული ხედვების დაფიქსირების მხრივ. აქ იგულისხმება ის, რომ რიგი მხატვრული ტექსტებისა შეიძლება შეირჩეს მდებარეობითი-მამრობითი კონტექსტისა თუ დატვირთვების მიხედვით.

ობიექტური მონაცემების მიღების მხრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტების პროფესიული პრეფერენციები წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს. მიღებული მონაცემების მიხედვით, რესპონდენტთა 45.1 %-ს აქვს თურქულის ენის სწავლების 1-5 წლიანი გამოცდილება, 36.6 %-ს -- 6-15 წლის გამოცდილება, 15 წელს ზემოთ კი სწავლების გამოცდილება აქვს 16.9 %-ს.

კვლევის ფარგლებში მოპოვებული მონაცემები გადატანილ იქნა excel-ის პროგრამის ფორმატში, განისაზღვრა ორმხრივი შედარების მატრიცები, გამოთვლილ იქნა პრიორიტეტები და გაისინჯა თანმიმდევრობის ხარისხები. კვლევის ფარგლებში შეიქმნა შედარების 9 მატრიცა და თითოეული მათგანის თანმიმდევრობის ხარისხების გამოთვლით შემოწმდა მოპოვებული პასუხების ჯამური ობიექტურობა.

ცხრილი 4.1.5. მთავარი კრიტერიუმების ორმხრივი შედარების მატრიცა

ენობრივი უნარჩვევები	მეტყველება	მოსმენა-აღქმა	კითხვა	წერა	სიტყვათა მარაგი	გრამატიკის ცოდნა	კულტურული ელემენტების ტრანსფერ
მეტყველება	1.00	2.45	2.61	2.62	1.95	3.86	2.74
მოსმენა-აღქმა	0.41	1.00	1.95	2.16	2.14	2.97	3.39
კითხვა	0.38	0.51	1.00	2.48	1.66	2.94	2.83
წერა	0.38	0.46	0.40	1.00	1.85	2.40	3.04
სიტყვის მარაგი	0.51	0.47	0.60	0.54	1.00	2.66	2.77
გრამატიკის ცოდნა	0.26	0.34	0.34	0.42	0.38	1.00	2.70
კულტურის ელემენტების ტრანსფერი	0.37	0.29	0.35	0.33	0.36	0.37	1.00

ცხრილი 4.1.5.-ში თითოეული კრიტერიუმის პრიორიტეტულობის ხარისხის გამოთვლის მიზნით თითოეული სვეტის კომპონენტები შეიკრიბა:

$$1+0.41+0.38+0.38+0.51+0.26+0.37 = 3.31$$

$$2.45+1+0.51+0.46+0.47+0.34+0.29 = 5.52$$

$$2.61+1.95+1+0.40+0.60+0.34+0.35 = 7.26$$

$$2.62+2.16+2.48+1+0.54+0.42+0.33 = 9.56$$

$$1.95+2.14+1.66+1.85+1+0.38+0.36 = 9.35$$

$$3.86+2.97+2.94+2.40+2.66+1+0.37 = 16.20$$

$$2.74+3.39+2.83+3.04+2.77+2.70+1 = 18.47$$

ცხრილი 4.1.6. მთავარი კრიტერიუმების მატრიცის გამოთვლა

ენობრივი უნარჩევები	მეტყველება	მოსმენა-აქცმა	კითხვა	წერა	სიტყვის მარაგი	გრამატიკის ცოდნა	კულტურული ელემენტების ტრანსფერი
	1	2.45	2.61	2.62	1.95	3.86	2.74
მეტყველება	<u>3.31</u>	<u>5.52</u>	<u>7.26</u>	<u>9.56</u>	<u>9.35</u>	<u>16.20</u>	<u>18.47</u>
	0.41	1	1.95	2.16	2.14	2.97	3.39
მოსმენა-აქცმა	<u>3.31</u>	<u>5.52</u>	<u>7.26</u>	<u>9.56</u>	<u>9.35</u>	<u>16.20</u>	<u>18.47</u>
	0.38	0.51	1	2.48	1.66	2.94	2.83
კითხვა	<u>3.31</u>	<u>5.52</u>	<u>7.26</u>	<u>9.56</u>	<u>9.35</u>	<u>16.20</u>	<u>18.47</u>
	0.38	0.46	0.40	1	1.85	2.40	3.04
წერა	<u>3.31</u>	<u>5.52</u>	<u>7.26</u>	<u>9.56</u>	<u>9.35</u>	<u>16.20</u>	<u>18.47</u>
სიტყვის მარაგი	<u>0.51</u>	<u>0.47</u>	<u>0.60</u>	<u>0.54</u>	<u>1</u>	<u>2.66</u>	<u>2.77</u>
	<u>3.31</u>	<u>5.52</u>	<u>7.26</u>	<u>9.56</u>	<u>9.35</u>	<u>16.20</u>	<u>18.47</u>
გრამატიკის ცოდნა	<u>0.26</u>	<u>0.34</u>	<u>0.34</u>	<u>0.42</u>	<u>0.38</u>	<u>1</u>	<u>2.70</u>
	<u>3.31</u>	<u>5.52</u>	<u>7.26</u>	<u>9.56</u>	<u>9.35</u>	<u>16.20</u>	<u>18.47</u>
კულტურული ელემენტების ტრანსფერი	<u>0.37</u>	<u>0.29</u>	<u>0.35</u>	<u>0.33</u>	<u>0.36</u>	<u>0.37</u>	<u>1</u>
	<u>3.31</u>	<u>5.52</u>	<u>7.26</u>	<u>9.56</u>	<u>9.35</u>	<u>16.20</u>	<u>18.47</u>

ცხრილ 4.1.6. მოცემული მატრიცის თითოეული კომპონენტი გაიყო არსებულ ჯამურ პრიორიტეტებზე. გაყოფის შედეგად მიღებული მატრიცა მოცემულია 4.1.7. ცხრილში.

ცხრილი 4.1.7. მთავარი კრიტერიუმების პრიორიტეტის ხარისხი

ენობრივი უნარჩვევები	მეტყველება	მოსმენა-აღქმა	კითხვა	წერა	სიტყვის მარაგი	გრამატიკის ცოდნა	კულტურული ელემენტების ტრანსფერი	პრიორიტეტის ხარისხი
მეტყველება	0.30	0.44	0.36	0.27	0.21	0.24	0.15	<b>0.28</b>
მოსმენა-აღქმა	0.12	0.18	0.27	0.23	0.23	0.18	0.18	<b>0.20</b>
კითხვა	0.12	0.09	0.14	0.26	0.18	0.18	0.15	<b>0.16</b>
წერა	0.12	0.08	0.06	0.10	0.20	0.15	0.16	<b>0.12</b>
სიტყვის მარაგი	0.15	0.08	0.08	0.06	0.11	0.16	0.15	<b>0.11</b>
გრამატიკის ცოდნა	0.08	0.06	0.05	0.04	0.04	0.06	0.15	<b>0.07</b>
კულტურული ელემენტების ტრანსფერი	0.11	0.05	0.05	0.03	0.04	0.02	0.05	<b>0.05</b>

ცხრილ 4.1.7.-ში აღებულია გაყოფის შედეგად წარმოქმნილი მატრიცების საშუალო კოეფიციენტები და გამოთვლილია თითოეული კრიტერიუმის პრიორიტეტის ხარისხი. მოპოვებულ მონაცემთა მიხედვით თურქულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში მხატვრულ ტექსტთა მნიშვნელობა ენობრივი უნარ-ჩვევების გამომუშავებაში განისაზღვრა 28 % -ით მეტყველებასთან მიმართებაში. შემდეგ ეს მნიშვნელობა ნაწილდება შემდეგი სახით: მოსმენა-აღქმა: 20 %, კითხვა: 16 %, წერა: - 12 %, სიტყვათა მარაგი: - 11 %, გრამატიკის წესების ცოდნა- 7 % და კულტურული ელემენტების ტრანსფერი: - 5 %. ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ უხცოვლთათვის თურქულის სწავლების პროცესში კულტურული ელემენტების ტრანსფერის მხრივ მხატვრული ტექსტების გამოყენებას არ ეთმობა სათანადო ყურადღება. ამასთანავე, მხატვრული ტექსტები არ არის სათანადოდ გამოყენებული აგრეთვე გრამატიკული და სიტყვითი კომპონენტების კონტექსტშიც. რაც შეეხება მოსმენა-აღქმასა და კითხვით კომპონენტებს, აქ მხატვრული ტექსტები

გამოიყენება შესაბამისი ინტენსიურობით.

შემდგომ საფეხურზე ჩატარდა თანმიმდევრობის ტესტი. თანმიმდევრობის ტესტი აუცილებელია ენობრივი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით გამოყენებული მხატვრული ტექსტების მნიშვნელობის სანდოობის განსაზღვრის მხრივ. თანმიმდევრობის ტესტში გამოყენებული საფეხურები და გამოთვლები მოცემულია ქვემოთ. თანმიმდევრობის ტესტის პირველი საფეხურია ორმხრივი შედარების მატრიცისა და პრიორიტეტების ხარისხის მატრიცის შეერთება. ამ შეჯამების შედეგები მოცემულია შემდეგ ცხრილში.

$$\begin{pmatrix} 1.00 & 2.45 & 2.61 & 2.62 & 1.95 & 3.86 & 2.74 \\ 0.41 & 1.00 & 1.95 & 2.16 & 2.14 & 2.97 & 3.39 \\ 0.38 & 0.51 & 1.00 & 2.48 & 1.66 & 2.94 & 2.83 \\ 0.38 & 0.46 & 0.40 & 1.00 & 1.85 & 2.40 & 3.04 \\ 0.51 & 0.47 & 0.60 & 0.54 & 1.00 & 2.66 & 2.77 \\ 0.26 & 0.34 & 0.34 & 0.42 & 0.38 & 1.00 & 2.70 \\ 0.37 & 0.29 & 0.35 & 0.33 & 0.36 & 0.37 & 1.00 \end{pmatrix} \otimes \begin{pmatrix} 0.28 \\ 0.20 \\ 0.16 \\ 0.12 \\ 0.11 \\ 0.07 \\ 0.05 \end{pmatrix} = \begin{pmatrix} 1 \times 0.28 + 2.45 \times 0.20 + 2.61 \times 0.16 + 2.62 \times 0.12 + 1.95 \times 0.11 + 3.86 \times 0.07 + 2.74 \times 0.05 \\ 0.41 \times 0.28 + 1 \times 0.20 + 1.95 \times 0.16 + 2.16 \times 0.12 + 2.14 \times 0.11 + 2.97 \times 0.07 + 3.39 \times 0.05 \\ 0.38 \times 0.28 + 0.51 \times 0.20 + 1 \times 0.16 + 2.48 \times 0.12 + 1.66 \times 0.11 + 2.94 \times 0.07 + 2.83 \times 0.05 \\ 0.38 \times 0.28 + 0.46 \times 0.20 + 0.40 \times 0.16 + 1 \times 0.12 + 1.85 \times 0.11 + 2.40 \times 0.07 + 3.04 \times 0.05 \\ 0.51 \times 0.28 + 0.47 \times 0.20 + 0.60 \times 0.16 + 0.54 \times 0.12 + 1 \times 0.11 + 2.66 \times 0.07 + 2.77 \times 0.05 \\ 0.26 \times 0.28 + 0.34 \times 0.20 + 0.34 \times 0.16 + 0.42 \times 0.12 + 0.38 \times 0.11 + 1 \times 0.07 + 2.70 \times 0.05 \\ 0.37 \times 0.28 + 0.29 \times 0.20 + 0.35 \times 0.16 + 0.33 \times 0.12 + 0.36 \times 0.11 + 0.37 \times 0.07 + 1 \times 0.05 \end{pmatrix} = \begin{pmatrix} 2.14 \\ 1.52 \\ 1.22 \\ 0.92 \\ 0.84 \\ 0.50 \\ 0.38 \end{pmatrix}$$

მეორე საფეხურზე აღნიშნული მატრიცის თითოეული კომპონენტი გაყოფილ იქნა პრიორიტეტის ხარისხებზე და მივიღეთ საშუალო კოეფიციენტი.

$$\frac{2.14}{0.28} = 7.59, \frac{1.52}{0.20} = 7.61, \frac{1.22}{0.16} = 7.61, \frac{0.92}{0.12} = 7.41, \frac{0.84}{0.11} = 7.35, \frac{0.50}{0.07} = 7.29, \frac{0.38}{0.05} = 7.29$$

$$\frac{7.59 + 7.61 + 7.61 + 7.41 + 7.35 + 7.29 + 7.29}{7} = 7.45$$

გამოთვლების შედეგად მიღებული მნიშვნელობა/პრიორიტეტები გამოიხატა  $\frac{\lambda_{\max} - n}{n - 1}$  საშუალო კოეფიციენტის ფორმულაში, რაც წარმოადგენს  $\lambda_{\max}$  მატრიცის განზომილებას.

$$\frac{7.45 - 7}{7 - 1} = \frac{0.45}{6} = 0.075$$

აღნიშნული პრიორიტეტი გაიყო წინასწარ განსაზღვრული თანმიმდევრობის ინდექსზე და დადგინდა თანმიმდევრობის ხარისხი. 7x7 განზომილებიანი მატრიცისთვის თანმიმდევრობის ინდექსის პრიორიტეტი 1.35.



$$\frac{0.075}{1.35} = 0.056$$

რადგანაც, გამოთვლილი თანმიმდევრობის ხარისხის 0.056 (5,56%) პრიორიტეტი 0,10 (10%) პრიორიტეტზე დაბალია, შესაბამისი ინსტრუქცია გამოირჩევა თანმიმდევრობის მაღალი ხარისხით.

**ენობრივი უნარჩვევების ათვისებაში ეფექტურ მხატვრულ ტექსტებთან მიმართებაში ორმხრივი შედარების ხარისხები და პრიორიტეტები**

ცხრილი 4.2.1. 3.1. ენობრივი უნარ-ჩვევების ათვისებაში ეფექტურ მხატვრულ ტექსტებთან მიმართებაში ორმხრივი შედარების მატრიცა

	ლექსი	მოთხრობა	რომანი	თქმულება	ზღაპარი	რემინისცენცია	დიალოგი	დღიური	ბიოგრაფია	რეპორტაჟი	ესე	პიესა	წერილი	ანგდოტი	ანდაზა/დიომა	ენის გასატეხი
ლექსი	<b>1.00</b>	1.36	1.78	1.49	1.36	1.89	1.74	2.06	2.02	1.99	1.60	1.36	2.03	1.45	1.97	1.48
მოთხრობა	0.73	<b>1.00</b>	2.97	2.56	1.93	2.40	2.31	2.84	3.19	3.36	3.22	2.43	2.61	2.33	2.65	3.90
რომანი	0.56	0.34	<b>1.00</b>	2.58	1.57	1.73	2.05	2.20	2.44	3.00	2.70	2.38	2.37	2.06	2.47	2.74
თქმულება	0.67	0.39	0.39	<b>1.00</b>	1.58	2.26	2.43	2.53	2.96	3.29	3.17	2.49	2.92	2.10	2.09	2.77
ზღაპარი	0.73	0.52	0.64	0.63	<b>1.00</b>	2.99	3.03	3.18	3.72	3.75	3.62	2.64	3.03	2.68	2.45	3.02
რემინისცენცია	0.53	0.42	0.58	0.44	0.33	<b>1.00</b>	1.84	1.80	2.29	2.47	2.63	2.75	2.37	2.92	2.47	2.96
დიალოგი	0.57	0.43	0.49	0.41	0.33	0.54	<b>1.00</b>	1.87	2.34	2.30	2.71	2.54	2.24	2.79	2.86	3.02
დღიური	0.48	0.35	0.45	0.40	0.31	0.56	0.54	<b>1.00</b>	2.31	2.10	2.52	2.66	2.11	2.79	2.78	3.30
ბიოგრაფია	0.49	0.31	0.41	0.34	0.27	0.44	0.43	0.43	<b>1.00</b>	1.60	1.73	2.35	1.49	2.69	2.44	2.84
რეპორტაჟი	0.50	0.30	0.33	0.30	0.27	0.41	0.43	0.48	0.62	<b>1.00</b>	2.29	2.80	2.17	3.21	2.71	3.09
ესე	0.63	0.31	0.37	0.31	0.28	0.38	0.37	0.40	0.58	0.44	<b>1.00</b>	2.77	1.58	2.38	1.91	2.67
პიესა	0.74	0.41	0.42	0.40	0.38	0.36	0.39	0.38	0.43	0.36	0.36	<b>1.00</b>	3.82	2.96	2.60	3.44
წერილი	0.49	0.38	0.42	0.34	0.33	0.42	0.45	0.48	0.67	0.46	0.63	0.26	<b>1.00</b>	2.60	2.42	2.47
ანგდოტი	0.69	0.43	0.49	0.48	0.37	0.34	0.36	0.36	0.37	0.31	0.42	0.34	0.38	<b>1.00</b>	1.82	2.48
ანდაზა/დიომა	0.51	0.38	0.40	0.48	0.41	0.40	0.35	0.36	0.41	0.37	0.52	0.38	0.41	0.55	<b>1.00</b>	2.17
ენის გასატეხი	0.68	0.26	0.36	0.36	0.33	0.34	0.33	0.30	0.35	0.32	0.37	0.29	0.41	0.40	0.46	<b>1.00</b>

ცხრილ 4.2.1-ში მოპოვებული ორმხრივი შედარების მატრიციდან პრიორიტეტის ხარისხისა და თანმიმდევრობის დონის გამოთვლის შედეგად მიღებულ იქნა ცხრილი 4.2.3.

